www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2017

აგვისტო

04.09.2017

www.geostat.ge

04.09.2017

ინფლაცია საქართველოში, 2017 წლის აგვისტო

2017 წლის აგვისტოში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 0,2 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 5,7 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში **წინა თვესთან შედარებით.**

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	0.5
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	-0.2
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-0.6
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	1.9
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.4
ჯანმრთელობის დაცვა	0.1
ტრანსპორტი	-0.7
კავშირგაბმულობა	-0.1
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.2
განათლება	0.0
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.9
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.0
ინფლაციის დონე, სულ	**0.2**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის აგვისტოს ინფლაციაში (სულ 0,2%)



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ფასები გაიზარდა 1,9 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა ინდექსის მთლიან ცვლილებაში 0,17 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების ზრდა დაფიქსირდა ელექტროენერგიაზე, აირსა და სათბობის სხვა სახეებზე (2,9 პროცენტი);

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასების 0.5 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,16 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (5,4 პროცენტი), აგრეთვე ხილი და ყურძენი (1,7 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ბოსტნეულზე (-3,8 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები შემცირდა 0,7 პროცენტით, რამაც ინფლაციის თვიურ მაჩვენებელზე -0,09 პროცენტული პუნქტით მოახდინა ზეგავლენა.

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2017 წლის **აგვისტოს წლიური ინფლაციის** მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	6.2
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	17.5
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-2.2
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	3.1
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	1.0
ჯანმრთელობის დაცვა	7.8
ტრანსპორტი	11.6
კავშირგაბმულობა	-1.1
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.1
განათლება	1.2
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.2
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.7
ინფლაციის დონე, სულ	**5.7**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის აგვისტოს ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 5.7%)



წლიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 6,2 პროცენტით, რაც 1,88 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (18,4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (11,9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (7,4 პროცენტი), თევზეული (6,8 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (6,1 პროცენტი);

ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 11,6 პროცენტით, რამაც წლიურ ინფლაციაში 1,46 პროცენტული პუნქტი შეიტანა. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (16,2 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 17,5 პროცენტით, რაც 1,14 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმზე (37,3 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 7,8 პროცენტით, რაც 0,69 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასებმა მოიმატა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (20,9 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (409)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: gtetrauli@geostat.ge